



სსიპ შოთა რუსთაველის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის 2022 წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების

**ანგარიში**

**ზუგდიდი**

**2022 წელი**

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში ასახავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნით სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. ამასთან, ანგარიშში მოყვანილია ინფორმაცია, რომელმაც გარკვეულ შემთხვევებში განაპირობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 4 სტრატეგიულ მიზანს და 12 ამოცანას და 40- მდე აქტივობას . დოკუმენტი ასახავს მათი შესრულების შესახებ ინფორმაციას და შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს.

## სტრატეგიული მიზანი 3 -პროგრამები

### ამოცანა 1. - პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივი უზრუნველყოფა

#### 3.1. 1. შემუშავდა და დამტკიცდა:

1. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“
2. „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“

შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა არსებული ზემოაღნიშნული პროცესების შიდამარეგულირებელი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“

აკადემიური საბჭოს დადგენილება #20, 2022 წლის 28 მარტი

კომენტარი: ცვლილების საფუძველი იყო მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა (სამინისტროს მიერ განხორციელებული ცვლილება სტუდენტთა ჩარიცხვის წესში)

#### 3.1.2. განხორციელდა ცვლილებები პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით შემუშავებულ შიდამარეგულირებელ წესებში ( 22.02.2022 წ. აკ. საბჭოს დადგენილება N20):

1. „პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესი“
2. „მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების მარეგულირებელი წესი“
3. „პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.

კომენტარი: ცვლილების საფუძველი იყო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით რეგულაციების დახვეწა-გაუმჯობესება, სტანდარტებთან შესაბამისობის სრულყოფა

#### 3.1.3. დამტკიცდა „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების–დიპლომის, სერტიფიკატის ფორმების გამოსაყენებლად შემოღების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი“ ( 22.02.2022 წ. აკ. საბჭოს დადგენილება N20):

**3.1.4. დამტკიცდა „სამუშაოზე დაფუნდებული სწავლების მიდგომით გასახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი“ (07.11.2022წ. აკ. საბჭოს დადგენილება N20):**

კომენტარი: რეგულაციების დახვეწა-გაუმჯობესება, ხარისხის ცენტრის და პროფესიული უნარების სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინება, მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა

**ამოცანა. 2 - პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება**

3.2.1. გაიზარდა მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ოდენობა სენაკის ბაზაზე გასახორციელებელ შემდეგ მოთხოვნად პროგრამებზე:

„საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულური) გაიზარდა 20 -ით; (საბჭოს გადაწყვეტილება 243031, 10.03.2022წ.)

„ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულური) გაიზარდა 15 -ით; (საბჭოს გადაწყვეტილება 243032, 10.03.2022წ.)

„მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულური) გაიზარდა 20 -ით; (საბჭოს გადაწყვეტილება 243033, 10.03.2022წ.)

**3.2.2. განხორციელდა სტუდენტთა მიღება**

1. აპლიკანტთა მიღების მიზნით განისაზღვრა აპლიკანტთა შერჩევის კომისიები პროგრამების შესაბამისად, სადაც მინიმუმ 3 პირი იღებდა აპლიკანტის შეფასებაში მონაწილეობას, მათ შორის ერთი იყო გარე ორგანიზაციის წარმომადგენელი ან/და დარგის სპეციალისტი.


2. მიღება განხორციელდა ახალი წესის შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული განრიგისა და მიღების ფორმის შესაბამისად. ყველა აპლიკანტთან ჩატარდა გასაუბრება, მიუხედავად იმისა ეს იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, ყველა პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების და პროცესის წარმართვა განხორციელდა ორგანიზებულად და ხარვეზების გარეშე, რომელსაც ხელი შეუწყო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა მოხალისეობრივი ჩართულობის მექანიზმით.


3. მიღება გამოცხადდა სულ 31 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 512-ით,

4. შერჩევის შედეგების საფუძველზე (პროფესიული ტესტირება, პრაქტიკული მოსინჯვა, ქვისები, გასაუბრება) ჩაირიცხა სულ 420 პროფესიული სტუდენტი მ.შ. 216 ზუგდიდის ხოლო 204 სენაკის ბაზაზე.

5. ჩაირიცხა სულ 7 სსსმ/სშმ პირი, მათ შორის 5 ზუგდიდის, 2 კი სენაკის ბაზაზე.

**3.2. 3. ხორციელდებოდა სულ 36 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 18**





### 3.2.4. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება

#### ა) მოპოვებულ იქნა განხორციელების უფლება

1. „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამა  
საბჭოს გადაწყვეტილება MES 5 22 0000370763 , 2022 წლის 11 აპრილი
2. „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა  
საბჭოს გადაწყვეტილება MES 6 22 0000370764, 2022 წლის 11 აპრილი
3. „კორპუსული ავეჯის დურგლის“ პროფესიული მომზადების პროგრამა  
საბჭოს გადაწყვეტილება MES 6 22 0000299395, 2022 წლის 23 მარტი
4. ლითოების შედუღება აიროვან გარემოში“ პროფესიული მომზადების პროგრამა  
საბჭოს გადაწყვეტილება MES 9 22 0000056702, 2022 წლის 24 იანვარი
5. „ელექტრომემონტაჟის“ პროფესიული მომზადების პროგრამა  
საბჭოს გადაწყვეტილება MES 2 22 0000056705, 2022 წლის 24 იანვარი

## ბ) მოპოვებულ იქნა განხორციელების უფლება და განხორციელდა

1. „დეკორატიულ მცენარეთა დაცვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა
2. „მცენარეების ნახვა ბოსტანსა და ბაღჩაში“ პროფესიული გადამზადების პროგრამა „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“

გ) მოპოვებულ იქნა განხორციელების უფლება და ხორციელდება „პრაქტიკული ბუღალტერიის“ პროფესიული მომზადების ისეთი პროგრამა, რომლის ანალოგი საქართველოში არ არის. მასში ჩაშენებულია დასაქმებისთვის საჭირო ე.წ. „რბილი უნარების“ კომპონენტი. სწავლა მიმდინარეობს, დასრულდება 2023 წლის 20 მაისს.

საბჭოს გადაწყვეტილება MES 0 22 0001249528 , 2022 წლის 10 ოქტომბერი

3.2.5. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად 2022 წელს განხორციელდა შიდასაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები, როგორც თვითდაფინანსების, ასევე დონორის (ა(ა)იპ ბიოლოგიური ასოციაცია „ელკანა“) მხრიდან დაფინანსების პირობებში

1. შედუღება (1 თვიანი) -35 კურსდამთავრებული
2. ელექტრომონტიორი (1 თვიანი) – 5 კურსდამთავრებული
3. ფილამწყობი (1 თვიანი) -10 კურსდამთავრებული
4. თხილის ბიოწარმოება სერტიფიცირებული კურსი სავლე ტრენერებისათვის (2 თვიანი) -8 კურსდამთავრებული

3.2.6. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ზუგდიდის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებსა და ზსსუ-ს ზუგდიდისა და სენაკის ბაზაზე განხორციელდა განხორციელდა 2 თვიანი საორიენტაციო კურსები, სულ კურსდამთავრებულია 281 მსმენელი

1. საექთნო საქმე -71 კურსდამთავრებული
2. ელექტრომონტიორი- 60 კურსდამთავრებული
3. ფილამწყობი -19 კურსდამთავრებული
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები-102 კურსდამთავრებული
5. რეპორტიორობა სკოლაში - 29 კურსდამთავრებული

## ამოცანა 4- პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

3.4.1. განახლდა ინფორმაციები ვებ. გვერდზე და გაზიარდა ისინი სოც. ქსელში, რითაც ხელი შეეწყო პროგრამების პოპულარიზაციას

3.4.2. საჯარო სკოლებთან თანამშრომლობით (მათ შორის სკოლებში განხორციელებული ე.წ. საორიენტაციო კურსები) მიეწოდა სამიზნე ჯგუფებს ინფორმაციები პროგრამებისა და უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ (ადგილზე ექსკურსიები, პროფორიენტაციის შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება).

3.4.3. „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ პროფესიული პროგრამის სტუდენტების გადაღებულ იქნა კლიპი, რომლის ფარგლებშიც გაიზარდა უნივერსიტეტის შესახებ ცნობადობა

3.4.4. „დეკორატიული მეზაღობის“ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში და გამოფენაში წარადგინეს უნიკალური ფუნქციური „მეზაღის მაგიდა“ , რომლის გამოყენება მეზაღეს სამუშაოს მეტად კომფორტულს გახდის. მონაწილეებმა მიიღეს სიგელები.

3.4.5. „ვეტერინარიის“ პროგრამის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა ქ. თბილისში გამართულ დასაქმების ფორუმში, მიიღეს მონაწილეობა 10 დღიან საველე პრაქტიკაში,

### **ამოცანა 5. - პროგრამების ხელმისაწვდომობა სსსმ/შშმ პირთათვის**

3.5.1. 2022 წლის მიღების გამოცხადების დროს განხორციელდა სსსმ/შშმ პირებთან შეხვედრები, საკონსულტაციო კომუნიკაცია, უტარდებოდათ პროფორიენტაცია პროფესიის შერჩევის მიზნით.

3.5.2. 2022 წელს ზუგდიდის ბაზაზე ჩაირიცხა 4, ხოლო სენაკის ბაზაზე 2 შშმ პირი. სისტემატიურად ხორციელდება ამ პირთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში სრულად ჩართულობისთვის

3.5.3. დისტანციური სწავლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად დროებით სარგებლობაში გადაეცათ 2 პერსონალური კომპიუტერი კომპლექტით.

3.5.4. იდენტიფიცირდა სშმ პირებისთვის სასწავლო პროცესის ასისტენტის საჭიროება იმის მიუხედავად, რომ ექსპერტთა გუნდის დასკვნაში ეს არ იყო აღნიშნული, მომზადდა წინადადება ვაკანსიის გამოცხადების მიზნით.

3.5.5. პროგრამების ხელმისაწვდომობისა და სასწავლო პროცესში ჩართვის მხარდასაჭერად შშმ პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნა ტრანსპორტით მომსახურება , ამ ეტაპზე აღნიშნული მხარდაჭერით სარგებლობს 5 შშმ პროფესიული სტუდენტი.



## **ამოცანა 6. - სტუდენტთა ცოდნის გამჭვირვალე, თანასწორი და სამართლიანი შეფასების სისტემის უზრუნველყოფა**

სამსახურის უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით 2022 წელს:

3.6.1. პირველად განხორციელდა სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რისთვისაც განისაზღვრა რისკის კოეფიციენტები თითოეული პროგრამისათვის, შერჩეულ იქნა ვერიფიკაციის სამიზნე პროგრამები („ელექტრობა“ და „დეკორატიული მებაღობა“ ზუგდიდის, ხოლო „საექთნო საქმე“ და „ბიბლიოტეკარი“ სენაკის ბაზაზე), შერჩეულ იქნა ვერიფიკატორები და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა ერთი სრული ციკლი.

3.6.2. მიღებულია ვერიფიკატორების დასკვნა და რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის მხრიდან.

3.6.3. შემუშავებულია რეკომენდაციების შესრულების გეგმა და განსაზღვრულია მათი გაუმჯობესების ვადები

3.6.4. გამოკითხულ იქნა პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით

### **სტრატეგიული მიზანი 4.-პერსონალი**

#### **ამოცანა 1. - პერსონალის საქმიანობის ეფექტური წარმართვა (უშუალო მონაწილეობა)**

4.1.1. პროგრამის ხელმძღვანელების ტექნიკური თანაშემწეების ე.წ. კურატორების საჭიროების განსაზღვრა და შესაბამისი წინადადების მომზადება, მათთვის სამუშაო აღწერილობების შემუშავება, საქმიანობის შესრულების მონიტორინგი;

4.1.2. პროგრამის ხელმძღვანელების აკადემიური საქმიანობის მიზნით ფუნქციების კორექტირება, მათი მხრიდან კვარტალური ანგარიშების წარმოების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება-სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, ინდივიდუალური მიდგომა

4.1.3. ადმინისტრაციული პერსონალის მიერ აკადემიური საქმიანობისთვის დასაშვები კვირეული საათობრივი დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის კონტროლი, გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რექტორისთვის, პრევენციული ზომების შემუშავება ( წინადადების მომზადება ვაკანსიის გამოცხადებისთვის ისეთ დეფიციტურ პოზიციაზე, როგორცაა ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებელი)

4.1.4. მაქსიმალურად სტუდენტზე და პერსონალზე მორგებული სასწავლო ცხრილები

4.1.5. პერსონალის რეესტრის მუდმივი განახლება/სრულყოფა. მართვის ელექტრონული სისტემის რეკომენდაციების შესრულება

4.1.4. საჭიროებების განსაზღვრის მიზნით მუდმივი შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა (შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შემუშავება)

## **ამოცანა 2. - პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;**

### **4.2.1. ტრენინგები - გარე მხარდაჭერა**

1. „ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა “  
(დეკემბერი, 2022 წელი, ორგანიზაცია-პროფესიული უნარების სააგენტო, გადამზადდა სულ 12 პირი, )

2. „პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასება“  
„მეფუტკრეობის“ დუალური პროფესიული პროგრამის პერსონალისთვის და ადმინისტრაციისთვის (ფერმერთა ასოციაცია-2022 წლის 31 ოქტომბერი-11 ნოემბერი.ორგანიზაცია-ფერმერთა ასოციაცია, გადამზადდა სულ 7 პირი, )

3. „ორგანული სოფლის მეურნეობის ძირითადი პრინციპები“,  
(თებერვალი, 2022 წელი, ორგანიზაციები- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა", "ნატურლანდი" და "საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი კავკასიისთვის"

4. „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა“ (23-25, 30, 31 მაისი, 2022 წელი,, გადამზადდა სულ 5 მასწავლებელი)

ორგანიზაცია-საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

5. „ SHUTTLE-ის მეთოდოლოგია“ ( 27.06.-1.07.2022წ. გადამზადდა სულ 10 პირი, მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი)  
საერთაშორისო ორგანიზაცია Action Against Hunger .

6. „ინტეგრირებული ზოგადი მოდულები, სწავლება და შეფასება.“ ორგანიზაცია-პროფესიული უნარების სააგენტო, მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად გადამზადდა სულ 16 მასწავლებელი

7. „ციფრული უნარები სოფლის მეურნეობაში“ 9.-10. 07.2022წ. ორგანიზაცია- Journalism Resource Center . სამუშაო შეხვედრა

8. „სამოქალაქო განათლება“ (IFES-ის სასერტიფიკატო ორდლიანი კურსი) -გადამზადდა სამოქალაქო განათლების“ ზოგადი მოდულის განმახორციელებელი სულ 3 მასწავლებელი.

9. ვეტერინარული შრომითი (ადამიანური) რესურსებისა და ვეტერინარი პარაპროფესიონალების შესახებ OIE-ს ცნობიერების ამაღლების ეროვნული ვირტუალური სემინარი (განხორციელდა სურსათის ეროვნული სააგენტოს და ცხოველთა ჯანმრთელობის

დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) , „OIE-ს ვეტერინარი პარაპროფესიონალების (VPP) კომპეტენციების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, გადამზადდა ზსსუ-ს ორი პერსონალი)

10. 2022 წლის 10 ნოემბერს, ზსსუ-ს IT სამსახურის მიერ შეიქმნა IT ინციდენტების მართვის პლატფორმა : help.zssu.edu.ge. აღნიშნულ პლატფორმას აქვს შესაძლებლობა აღირიცხოს ყველა IT ინციდენტი, მოხდეს სხვადასხვა ბილეთების მართვა და შესაბამისი რეაგირება. ეს გადაწყვეტილება უზრუნველყოფს როგორც პროცესების გამარტივებას ასევე დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას. აღნიშნული პლატფორმის მოხმარებასთან დაკავშირებით აღნიშნულმა სამსახურმა შეიმუშავა ელექტრონულის ახელმძღვანელო რომელიც მიეწოდა პერსონალს. მიმდინარეობს ვიწრო ჯგუფებში დამატებით დეტალების ახსნა მოხმარებასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულებისა ზსსუ-ს პროფესიული განათლების განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი მუდმივად იღებდა მონაწილეობას გარე მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებში, ფორუმებში, ვებინარებში, კონფერენციებში, რაც ცალსახად არის პერსონალისთვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

#### 4.2.2. ტრენინგები - შიდა მხარდაჭერა

პერიოდულად და საჭიროებისამებრ განხორციელდა შიდა ტრენინგები როგორც ახალი, ასევე არსებული პერსონალისთვის მოდულის სტრუქტურის, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, ასევე ტექნოლოგიების გამოყენების ტექნიკაში.

საჭიროების იდენტიფიცირების საფუძველზე უნივერსიტეტმა მოიწვია ტრენერი-განათლების სპეციალისტი, რომელმაც უზრუნველყო „საექთნო საქმის“ კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პერსონალისთვის 2 დღიანი ტრენინგის ჩატარება სტუდენტთა შეფასებაზე კლინიკური მოდულების განხორციელების შემთხვევაში.

ადმინისტრაცია მასწავლებლებს მუდმივად ეხმარებოდა სტუდენტთა შეფასების ორგანიზებაში, შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ტექნიკაში, რიგ შემთხვევაში უწევდა ტექნიკურ მხარდაჭერას (ბეჭდვა, ამობეჭდვა, დასკანერება, ასლის გადაღება, დოკუმენტის შენახვა და ა.შ.)

### სტრატეგიული მიზანი 5.- სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება

ამოცანები:

5.1 სასწავლო პროცესის რეგულაციების მოქნილობაზე მუდმივი ზრუნვა;

5.2 სტუდენტური სერვისებით მომსახურების გაუმჯობესება;

5.3 სტუდენტთა მხარდაჭერის, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების შემდგომი ზრდა.

5.4 სტუდენტთა აქტივობისა და ჩართულობის გაზრდა მართვაში, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში;

5.5 ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და მათი ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა;

### აქტივობები:

1. სტუდენტთა მხრიდან გაჩნდა ინიციატივა მათ მიერ მოფიქრებული დიზაინით შეექმნათ „მებაღის პოლიფუნქციური მაგიდა“, რომელსაც არ ჰქონდა ანალოგი საქართველოში. აღნიშნული იდეა ემსახურებოდა მებაღის სამუშაოს გამარტივებას. სტუდენტების მხრიდან წარმოდგენილი პროექტის შემდეგ უნივერსიტეტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას სასწავლო სახელოსნოში „შედულების“ , „დურგლის“ და „დეკორატიული მებაღეობის“ სტუდენტებს ერთობლივად შესრულებინათ ეს კომპლექსური ნამუშევარი სასწავლო ინტეგრირებული პროცესის ფარგლებში. იდეის განხორციელების შემდეგ სტუდენტებს ასევე გაუჩნდათ ინიციატივა, რომ აღნიშნული პროდუქტი მათ წარედგინათ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც ემდგნებოდა დუალურ პროფესიულ განათლებაში ინოვაციების დანერგვას. „დეკორატიული მებაღეობის“ პროფესიულ სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში, რომლის ტრანსპორტირება და გზის ხარჯები ფინანსურად უზრუნველყო უნივერსიტეტმა.

2. 2022 წლის გაზაფხულზე აკადემიური საბჭოს მიერ გამოცხადებული სტუდენტური პროექტების ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2020 წლის მიღების სტუდენტებმა, რომლებმაც მოდულის „ვიდეოგადაღების პრაქტიკული კურსის“ სწავლის შედეგად შექმნილი პრაქტიკული უნარების ფარგლებში შეიმუშავეს და წარადგინეს პროექტი მედიაპროდუქტის (ვიდეო კლიპი) შექმნასთან დაკავშირებით სახელწოდებით „ბჟამ ომაფერმისა და მზის სამეფო“. პროექტის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში არსებული ტრადიციული და კულტურული რესურსების შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში.

3. პროექტის შესრულება დაფინანსდა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომლის შესრულების შედეგად დაიდო შესაბამისი მედიაპროდუქტი.

4. ფიზიკური პირის მიერ დაწესებული სახელობითი ჯილდო „სტიპენდია“ 500 ლარის ოდენობით გადაეცა „პირის ღრუს ჰიგიენის“ პროფესიულ ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩარიცხულ დევნილ სტუდენტს.

5. 2022 წლის აპრილის თვეში პროექტის „ბავშვთა უფლებების დაცვა“ ფარგლებში უნივერსიტეტში გამოცხადდა „ესეების კონკურსი“ 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, თანაბარი ქულების დაგროვების პირობებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით უპირატესობა მიენიჭა დევნილ სტუდენტს-ანდრია დანელიას, რომელიც სწავლობს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ ინტეგრირებულ პროგრამაზე და როგორც გამარჯვებულს, გადაეცა სმარტფონი.

6. დამსაქმებლებთან გვექონდა მუდმივი კომუნიკაცია და მათი მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა სტუდენტებთან შეხვედრა, აღნიშნულ შეხვედრაზე ადგილზე იწერებოდა სივები და ხდებოდა ინტერვიუების იმიტაცია.

7. სტუდენტებს ხელს ვუწყობდით როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიღებაში. ხდებოდა სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო ხასიათის ტრენინგების, შეხვედრების და ა.შ. შეთავაზება და მონაწილეობის ხელშეწყობა;

8. ინიცირებულ იქნა ე.წ. „სურვილების/რეკომენდაციების“ ყუთის იდეა, რომელსაც განვახორციელებთ მიმდინარე წელს

9. უზრუნველყოფილ იქნა „ვეტერინარიის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტების ჩართულობა საველე პრაქტიკაში. მონაწილეობა მიიღო და გადამზადდა ერთი პროფესიული სტუდენტი

10. განახლდა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა;

11. პროფესიული სტუდენტებისთვის სიმბოლურ /ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფილია „უცხო ენის შემსწავლელი ცენტრით“ მომსახურება, რომლითაც არაერთი სტუდენტი სარგებლობს. ამასთან უსასყიდლოდ არის შეთავაზებული სხვა მოქმედი ცენტრებით სარგებლობა (კარიერის დაგეგმვის ცენტრი, ბავშვთა უფლებების ცენტრი, ფსიქოლოგიის ცენტრი, იურიდიული კლინიკა, უწყვეტი განათლების ცენტრი, სტუდენტური მომსახურების ცენტრი და ა.შ.)

12. საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

13. სასწავლო პროცესში უწყვეტად ჩართულობისა და განათლების მხარდასაჭერად 2 სსსმ/სშმ სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტებს დროებით სარგებლობაში გადაეცათ პერსონალური კომპიუტერები კომპლექტით.

## სტრატეგიული მიზანი 7.-ფინანსები

7.1. სამსახური წლის ბოლო კვარტალში განხორციელდა კალენდარული წლის მანძილზე პროგრამებისა და მოდულების მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი, შესაძენი მასალა-წედლეულის იდენტიფიცირება . ამ დროს მჭიდროდ თანამშრომლობდა შესყიდვების სამსახურთან (ბაზრის კვლევა), პროგრამის ხელმძღვანელებთან ან/და დარგის მასწავლებლებთან, წარმოდგენილი ჩამონათვალი რეაგირებისთვის მიემართა შესაბამის ზემდგომ სტრუქტურას (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი)

7.2. სამსახურმა განსაზღვრულ დროში უზრუნველყო მართვის სისტემაში გენერირებული პროფესიული სტუდენტების შესაბამისად მოდულების განხორციელების პერიოდის სისწორე და დაადასტურა ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტისთვის გადმოსარიცხი კვარტალური თანხების ოდენობა, ასევე მოახდინა თანხების კორექტირება.

7.3. სამსახური უშუალოდ ჩართულია პროფესიული განათლების მიმართულებით წლიური ბიუჯეტის სწორად და მიზნობრივად ფორმირებაში.

